



მენარჩე ქალთა ფონდი

2015-2017



2017 წლის მიწურულს შემიძლია ვთქვა, რომ მენარმე ქალთა ფონდის საქმიანობა ნაყოფიერი იყო და შევძელით, წარმატებით შეგვესრულებინა ჩვენს მიერ აღებული ვალდებულებები.

მერი ბელაშვილი
მენარმე ქალთა ფონდის თავმჯდომარე

ძვირფასო მეგობრებო, კოლეგებო, პარტნიორებო, გილოცავთ ახალ 2018 წელს!

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და უღევ სიხარულს; ქვეყნის გამთლიანებასა და ურთიერთპატივისცემას.

ორგანიზაციის დაფუძნებიდან 10 წელი გავიდა. ყოველი წელი იყო ძიების და გამოწვევების, მაგრამ ყველანი ერთად ვუმკლავდებოდით წარმოქმნილ პრობლემებს და შედეგების მომსწრენი ვხდებოდით. ამის დასტურია ჩვენს მიერ ბოლო სამი წლის პერიოდში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები:

- ✓ „გენდერული თანასწორობა და ევროინტეგრაცია, ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის“ (ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი);
- ✓ „ქალთა გაძლიერება საქართველოს მთიან რეგიონებში“ (UN Women საქართველოში);
- ✓ „დასავლეთ საქართველოს ქალთა მდგრადი განვითარება, პროფესიული დონის ამაღლება და პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარება“ (Brot für die Welt);
- ✓ პროექტი, რომლის განხორციელება დაგეგმეთ 2017 წელს: „ნაბიჯ-ნაბიჯ უკეთესი მომავალი-საკენ“ (ევროკავშირის და ავსტრიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით) პროექტის განმახორციელებელი პარტნიორი Hilfswerk Austria International; ადგილობრივი პარტნიორები: იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“, საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“, ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის უნივერსიტეტი.

სწორედ ეს მრავალფეროვნება იყო მთავარი გამოწვევა ორგანიზაციისათვის - თითოეული პროექტი სხვადასხვა მიმართულებისაა, მაგრამ საბოლოო ჯამში ემსახურება ადამიანთა (ქალთა და მამაკაცთა), განსაკუთრებით იგპ და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის, პრობაციონერების, განრიდებულების, ყოფილი მსჯავრდებულების და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვას, განათლებას, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2017 წლის მიწურულს შემიძლია ვთქვა, რომ მენარმე ქალთა ფონდის საქმიანობა ნაყოფიერი იყო და შევძელით, წარმატებით შეგვესრულებინა ჩვენს მიერ აღებული ვალდებულებები. ეს შესაძლებელი გახდა პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. განსაკუთრებით გამოვეყოფ კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმს“, რომლის ოფისშიც ვიყავით განთავსებული ეს 10 წელი.

მადლობას გიხდით მენარმე ქალთა ფონდის ყველა თანამშრომელს, ასევე ფონდი „სოხუმის“ კოლექტივს და ქსელის „მხოლოდ ერთად დავამარცხებთ სიღარიბეს“ წევრებს.

განსაკუთრებული პატივისცემა და მადლობა მხარდაჭერისათვის ჩვენს დიდი ხნის დონორს და პარტნიორს Brot für die Welt-ს, მის მთლიან სტაფს, ქალბატონებს Ilonka Boltze-ს, Dorothea Wolf-ს, Claudia Hinderer-ს. მადლობა Gundl Dick-ს, ორგანიზაციიდან მოვლინებულ პროფესიონალს, მენარმე ქალთა ფონდის სტრატეგიის შემუშავებისა და განვითარების პროცესის ხელშეწყობისთვის.

დიდი მადლობა თითოეულ ადამიანს, ვინც იყო ჩვენთან და ჩვენს გვერდით, რაც გვაძლევდა ძალას და სტიმულს, კარგად და ერთგულად გვეკეთებინა ჩვენი საქმე.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ წელს, წარმატებულ და შედეგიან 2018 წელს გისურვებთ!

პროექტი „დასავლეთ საქართველოს ქალთა მდგრადი განვითარება, პროფესიული დონის ამაღლება და პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარება“



მენარმე ქალთა ფონდმა 2015-1017 წლებში განახორციელა პროექტი „დასავლეთ საქართველოს ქალთა მდგრადი განვითარება, პროფესიული დონის ამაღლება და პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარება“ საერთაშორისო ორგანიზაცია „პური მსოფლიოსათვის“ (Brot für die Welt) ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის განხორციელების არეალი:

იმერეთი (ქუთაისი)

სამეგრელო (ფოთი)

ლენხუმი (ცაგერის მუნიციპალიტეტი)

პროექტი განხორციელდა შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

1. სკოლა საშუალო ასაკის ქალებისათვის „ადმინისტრაციული საქმისწარმოება და საქმიანი ეტიკეტის ნორმები“
2. მაღალმთიანი რეგიონის ქალთა მდგრადი განვითარება
3. მენტორული უნარ-ჩვევების განვითარება
4. საზოგადოებასთან ურთიერთობა, ადვოკატირება, ლობირება

პროექტი „დასავლეთ საქართველოს ქალთა მდგრადი განვითარება, პროფესიული დონის ამაღლება და პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარება“

სკოლა საშუალო ასაკის ქალებისათვის „ადმინისტრაციული საქმისწარმოება და საქმიანი ედიკაუტის ნორმები“

სკოლის მიზანია საშუალო ასაკის ქალების კვალიფიკაციისა და ცოდნის ამაღლება და მათი შემდგომი დასაქმების ხელშეწყობა. ეს პროგრამა ითვალისწინებს პროექტის მონაწილეთა აღჭურვას იმ ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რომელიც აუცილებელია მათი კარიერის დაგეგმვისა და განვითარების, პიროვნული და პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლების, ინტერესების, ფასეულობების სწორად შეფასების, პრიორიტეტების განსაზღვრისა და მიღებული ცოდნის შედეგად თვითშეფასების ამაღლებისათვის.

სკოლაში შეისწავლება საოფისე კომპიუტერული პროგრამები, საქმისწარმოება, „ორისის“ ბუღალტერია და ინგლისური ენა. მეწარმე ქალთა ფონდი სკოლის კურსდამთავ-

რებულებს უწევს რეკომენდაციას დამსაქმებლებთან. ის უნარები, რომელიც ჩვენთან შეისწავლება, სამსახურის შენარჩუნებასა და დასაქმებაში ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

ქალთა სკოლა მუშაობს ქუთაისსა და ფოთში. სწავლების კურსის აუცილებლობა ბენეფიციართა აქტიური მომართვიანობიდან და წარმატებული ისტორიებიდან ჩანს. ქალებს, რომლებიც ორგანიზაციაში მოდიან, სხვადასხვა ისტორია აქვთ. მათ სჭირდებათ გვერდით დგომა და სათანადო დახმარება. მეწარმე ქალთა ფონდი აქტიურად მუშაობს ქალთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და იმ უნარ-ჩვევების განვითარებისათვის, რომლებიც შრომითი ბაზრის მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს.

2015-2017 წლების მონაცემებით, პროექტის ფარგლებში ქუთაისსა და ფოთში 270 ქალი გადამზადდა ინგლისურ ენაში, კომპიუტერულ პროგრამებსა და ბუღალტრულ აღრიცხვაში:

ქუთაისში - 135 ქალი, ფოთში - 135 ქალი.

270 ქალიდან: დასაქმდა, სამსახური შეინარჩუნა და ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესა 103-მა ქალმა ანუ 38%-მა.

აქედან:

ქუთაისში - 50 ქალი, ფოთში - 53 ქალი.

სკოლა საშუალო ასაკის ქალებისათვის



კურსდამთავრებულები ქუთაისი

1. ელისო შუბითიძე
2. მარინა გვენეტაძე
3. თეა ჯანგავაძე
4. თამარ მინდიაშვილი
5. ხათუნა ჭანტურიძე
6. ინგა ბლიაძე
7. რაისა ანტონოვა
8. მირანდა ბობოხიძე
9. შორენა ჯიაძე
10. მელანო კუხიანიძე
11. მარინა გიორხელიძე
12. ნანა დვალი
13. მანანა ბენიძე
14. ეკა ოჩხიკიძე
15. ნანა ბელთაძე
16. ჟანა მეძველია
17. ცირა ლაბაძე
18. ნინო ჭოლაძე
19. თამარ სოხაძე
20. მაია ხუჯაძე
21. ირინე გაგოშიძე
22. ნანა კეკუა
23. ინდირა კოჩაძე
24. ლალი ბაბუნაშვილი
25. ლალი გუბელაძე
26. მაყვალა კობრეიძე
27. ლოლიტა ანიკეევა
28. თამარ დვალიშვილი
29. თამთა ბოჭორიშვილი
30. თამარ კილაძე
31. მზევინარ ხაჭვანი
32. ირინა მანაგაძე
33. მარინა ამბროლაძე
34. თეკლე ოყუჯავა
35. სოფიო ლომთაძე
36. ანა ნადირაძე
37. თინათინ გამეზარდაშვილი
38. ინგა რევიშვილი
39. მაკა ბაღდავაძე
40. ლალი გაჩეჩილაძე
41. მაია გაბესკირია
42. ცირა კუჭავა





ხათუნა ჭანტურიძე (ქუთაისი)

მე ქალთა სკოლის ერთ-ერთი კურსდამთავრებული ვარ. სკოლამ ბევრი რამ შემიძინა, დამაახლოვა და დამამეგობრა უამრავ კარგ ადამიანთან.

მენარმე ქალთა ფონდის ერთ-ერთი წარმატებული ორგანიზაციაა და წარმატებებს ვუსურვებ!



იამზე გორგოტიძე (ქუთაისი)

ულრმესი მადლობა მენარმე ქალთა ფონდის არაჩვეულებრივ გუნდს ლიდერი ქალების გამოვლენასა და პროფესიულ სრულყოფაში განეული ღვაწლისთვის!

43. მარიამ შალამბერიძე
44. მარინე კალმახელიძე
45. ბელა კუპრეიშვილი
46. ნონა გვაძაბია
47. ლალი ნარმანია
48. ტატიანა
კარკალაია-დაშნიანი
49. ფერიდე ლორია
50. მარინე მესხია
51. ნატო გელენიძე
52. ირმა ქათამაძე
53. თინათინ გოგიძე
54. ირმა კაშმაძე
55. მზია მურუსიძე
56. თეა ყუფარაძე
57. მაკა დიანოსაშვილი
58. ლიანა ივანეიშვილი
59. სოფია ქეცბაია
60. მანანა დვალი
61. ლალი ჭანტურია
62. მაია გოგიძე
63. ჟანა კიკვაძე
64. მარგარიტი კაშმაძე
65. გალინა სოხაძე
66. მარიამ რობაქიძე
67. შორენა ახალაძე
68. გაიანე ტუკვაძე
69. სალომე გვეტაძე
70. მარინა შალამბერიძე
71. ანანო გელაშვილი
72. მაია კანდელაძე
73. ირინა გაბელაშვილი
74. ეკატერინე გოგიძე
75. ირინე ხუციშვილი
76. ხათუნა კაცაძე
77. ლია აბუხანდაძე
78. ანნა ფურცელაძე
79. ზოია გიორგულიძე
80. ლია კოპალეიშვილი
81. ელენე მინდიაშვილი
82. ოლღა ჯანელიძე
83. ქრისტინე თოდუა
84. ნანა თურქია-მექვაბიშვილი
85. ნინო ნემსინვერიძე
86. ხათუნა დევიძე
87. მარიამ მექვაბიშვილი
88. მირანდა კუბლაშვილი
89. თამილა გეგეშიძე
90. თამარ მინდიაშვილი
91. თეა ხარაბაძე
92. თეონა ვირსალაძე
93. ლალი გახარია
94. ბელა გაგუა
95. ნინო ლიტკინი
96. ია გაზდელიანი
97. თეონა შალამბერიძე
98. მზია არეშიძე
99. ნონა შველიძე
100. ეთერ ჩაჩუა
101. მარინა მიქაუტაძე
102. ელისო დვალიშვილი
103. ნათია ბელთაძე
104. თამარ გოჯიაშვილი
105. ხათუნა თორთლაძე
106. ხათუნა პერანიძე
107. მაია გველესიანი
108. ირინა ინაკაძე
109. ანა ლანჩავა
110. თამილა დევედარიანი
111. ფიქრია თურქია
112. ელენე ფხაკაძე
113. ნატალია იობიძე
114. თათია მთვარელიძე
115. ცირა თოლორდავა
116. ანანო არიშვილი
117. ქეთევან კიკნაძე
118. თეონა შვანგირაძე
119. მანანა ყურაშვილი
120. თამარ ნაჭყებია
121. ქეთევან ჯიშკარიანი
122. ნინო ქარქაშაძე
123. ლატავრა შალამბერიძე
124. ნინო კუჭუხიძე
125. სალომე ბახტაძე
126. სალომე დევიძე
127. ქეთევან ჩაგანავა
128. მზეხათუნ არიშვილი
129. ეკა აბულაძე
130. მარინა ბასილაია
131. ციცინო კინწურაშვილი
132. ეკა კუხიანიძე
133. ნანა ბერულავა
134. ეთერ ჭინჭარაძე
135. თამუნა კობოძე

სკოლა საშუალო ასაკის ქალებისათვის



თეა ჯანაშვიძე
(ქუთაისი)

გამოვხატავ გულწრფელ მადლიერებას მენარმე ქალთა ფონდის ორმხრივი თანამშრომლობის და დახმარებისთვის, რაც განიეთ სამთვლიანი კურსების უფასო სწავლებისას, იმ გარემოსთვის, რაც სუფევს თქვენთან: პროფესიონალიზმი, ერთგულება და სიყვარული ადამიანების მიმართ, რომლის სულის ჩამდგმელია ასისტენტი ანჟელა ჩიხლაძე, რომელმაც თავისი თავმდაბლობით და საქმისადმი სიყვარულით გაგვაერთიანა და დაგვაახლოვა ერთმანეთისთვის უცხო ქალბატონები.

შევექმენით საექსკურსიო ჯგუფი ქალთასკოლელი ხათუნა ჭანტურიძის ხელმძღვანელობით. ამ ჯგუფმა მოილოცა და დაათვალიერა საქართველოს ისტორიული მხარეები. ვცდილობთ, ერთმანეთს გაგუზიაროთ გამოცხადებულ ვაკანსიებთან დაკავშირებული სიახლეები და ერთმანეთს ხელი შეგუზნოთ დასაქმებაში. მადლობა მენარმე ქალთა ფონდის თავმჯდომარეს - მერი გელაშვილს პროფესიონალი კადრების შერჩევისთვის, ცოდნის გაღრმავებაში ხელშეწყობისთვის, ახალი მეგობრებისა და საინტერესო პროექტებისთვის!




ფატიმა აბხაზავა
(ფოთი)

ჩემი მეგობარი ფონდი - მე ასე ვუწოდებ ფონდს, რომელიც ქალთა საჭიროებებზეა მორგებული. გაცემული ვარ ასეთი ორგანიზებული, კვალიფიციური კადრებით, რომლებიც მაქსიმალურად ცდილობდნენ, შეექმნათ ჩვენთვის კომფორტული სასწავლო გარემო. ზუსტად ის უნარები შეგვასწავლეს, რასაც ჩვენ უმაღლეს სასწავლებლებში არ ვსწავლობთ, არადა დასაქმების ბაზარზე მნიშვნელოვანია.

მადლობა ქალთა სკოლას - ეს ნამდვილად ავტორიტეტული სკოლაა, რადგან სკოლაში გადამზადებული ქალები წარმატებულ თანამდებობებზე არიან წარმოდგენილები. თქვენ სჭირდებით ქალებს გასამხნეებლად და თვითშეფასების ასამაღლებლად! თქვენ მოგვეცით ახალი ცხოვრების დაწყების სტიმული.

წარმატებებს გისურვებთ, საინტერესო პროექტების განხორციელებას!



ელისო შუბითიძე
(ქუთაისი)

წარმატებები მენარმე ქალთა ფონდს!

თქვენ ყოველთვის დგახართ ქალთა პრობლემების მოგვარების სადარაჯოზე.

აქ გატარებული ყოველი დღე განსაკუთრებული იყო ჩემთვის, დასამახსოვრებელი და ბევრის მომცემი, რისთვისაც მადლობას ვუხდით ფონდის ყველა წევრს!

კურსდამთავრებულები ფოთი

1. მაგული არველაძე
2. შორენა წონონავა
3. ლუიზა ჯოლოსავა
4. ნაირა ჩაჩუა
5. თამარ გვასალია
6. მზია ნიკოლავა
7. ლალი შეროზია
8. მონიკა ლაცუზბაია
9. ირმა ახალაია
10. მზექალა პირტახია
11. ნონა ბაკურაძე
12. შორენა კიკალეიშვილი
13. ნანა კუცია
14. თათია კილასონია
15. მაგდა სიორდია
16. მაია მალნარაძე
17. ზაირა ბაქრაძე
18. მარინა ჯოჯუა
19. ანეტა სულაქველიძე
20. მაია ჭოჭუა
21. ნანა თოფურია
22. ბელა ბაკურაძე
23. ელდენა კალანდაძე
24. ნანი მიქაძე
25. ნონა ალანია
26. ნონა გვაზავა
27. რაისა უჩაგოშვილი
28. მარინა გაზდელიანი
29. ფატიმა აბხაზავა
30. ნანა სორდია
31. თამარ კაჭარავა
32. თამარ ხვიჩია
33. მარინა თურქია
34. ლიანა ახოზაძე
35. თეონა ფაცია
36. ნანა გოგონაია
37. სოფიო ცარციძე
38. ჯილდა ჯანგველაძე
39. მარიამ ბაჯალაძე
40. თეონა დარჯანია
41. ანნა პატარაია
42. ილონა ფირცხალავა
43. მაია მიმინოშვილი
44. ლირა სამუშია
45. ლელა კვერენჩილაძე
46. მანონი ხაბურზანია
47. ირინე ანდრიაძე
48. მარინა ხარაიშვილი
49. ეკატერინე არველაძე
50. თამარ გეფერიძე
51. ლაურა ბოჯგუა
52. მაია ცხადია
53. დარეჯან ბერაია
54. იზაბელა ჩაჩიბაია
55. ინგა ფარულავა
56. ხათუნა ჩანქსელიანი
57. ლია ღვანიძე
58. ნათია კოკაია
59. ნინო თოფურია
60. ირინა ბუკია
61. მაკა კონჯარია
62. ნათია გუჯაბიძე
63. ბელა კაკლიანი
64. სოფიო ალექსანდრია
65. ნინო ხაბიაშვილი
66. ნანა რუბენია
67. ვერა ბასილაია
68. ნინო ჭანტურია
69. ნანი ჩაჩავა
70. ეკატერინე არველაძე
71. ნელი ლოლუა
72. მარინა რუბენია
73. სანათა ბარძემიშვილი
74. თია კოპაძე
75. შორენა შავაძე
76. ირმა ქირია
77. მარინა ხარბედია
78. თეა ქოიავა
79. ნონა სიმონია
80. ნინო აბხაზავა
81. თინათინ ცხვიტარია
82. ქეთევან კუსიდი
83. მაკა ქარდავა
84. ელზა სილაგავა
85. ნინო გოგუაძე
86. ანჟელა ჭითანავა
87. ქეთევან აბრამია
88. ილონა კრავჩენკო
89. მარინა ხურცილავა
90. დარეჯან ბერაია
91. რუსუდან ბურბუშია
92. ნათია ნიკოლაიშვილი
93. დოდო ცომაია
94. ნატო სიგუა
95. ნანი ლომია
96. ნინელი დიდბერიძე
97. ნატალია ნადარაია
98. თამარ ტიკარაძე
99. ეკატერინე გეგენავა
100. რიტა აფხაზავა
101. ნინო გოგოლი
102. მაკა ნადირაძე
103. ირმა ხურცია
104. ლანა ლომია
105. ელისო მუშუქია
106. თეონა გოგიშვილი
107. მაია ჯელაძე
108. ხათუნა ალიხანაშვილი
109. ირმა ზარქუა
110. სოფიო მელიბიანი
111. მარინა ქაჯაია
112. ლელა ლაშქარავა
113. ლელა სიჭინავა
114. თამარ პატარიძე
115. ნონა ლაშქარავა
116. რუსუდან კუპრეიშვილი
117. ლოლა კუჭუხიძე
118. მზია ნიკოლავა
119. თამარ ქარქაშაძე
120. ჟანა ჩერქეზია
121. ნათია მალანია
122. ანჟელა მალანია
123. თამარ ჯანაშია
124. მაია ჯელაძე
125. ელეონორა დაგარგულია
126. ნინა სიმონია
127. მირანდა ღურწკაია
128. მანანა დორჩოშვილი
129. ნინო ცანავა
130. შორენა ლემონჯავა
131. მირანდა გუჯაბიძე
132. იზოლდა კაკულია
133. ეკა ხურცია
134. ეკატერინე კაკულია
135. რიტა მუშუქია

ქალთა სკოლის დამთავრების შემდეგ შეძვლილი ცხოვრება

ოლენა ჯანელიძეს მანამდეც ყველაფერი ჰქონდა, რომ ადამიანს მის მიმართ სიმპათიები გასჩენოდა:

კარგი განათლება - ცოტა უცნაური იყო მისი სწავლის ამბავი. სოხუმში დაიწყო. სტუდენტობის ერთი წელი იქ გავიდა (სასიამოვნოდ ახსოვს ის პირველი წელი ლამაზ ზღვისპირა ქალაქში). მერე ომი დაიწყო და თბილისში გააგრძელა - სოხუმის უნივერსიტეტთან ერთად. თუმცა სამი წელი ქუთაისში სწავლობდა და ბოლოს თბილისში დაასრულა. ასე გავლო სტუდენტობამ სამ ქალაქში. გერმანული ენის სპეციალისტია. მუშაობდა ინდივიდუალურად, მოსწავლეებთან. ოჯახური საზრუნავის გამო სამსახურზე არც ფიქრობდა...

კარგი ოჯახი - ოთხნი არიან. სამი და ჰყავს. ქალიშვილები დედას დაემგვანნენ შვილთა სიმრავლეში.

ოლენა ოთხი შვილის დედაა. დავითი მომავალი ექიმი, კონსტანტინე აბიტურიენტია და უკვე აქვს თავისი რთული არჩევანი. ლუკა 14 წლისაა, ნაბოლარა ეკატერინე ჯერ მხოლოდ პირველ კლასშია. ოთხი შვილის დედობა ადვილი არ არის, მაგრამ კარგ, მზრუნველ მეუღლესთან ერთად იყოფს საოჯახო საზრუნავს.

ოლენა (ოფიციალურად ოლლა ჰქვია, მაგრამ ამ სახელით უფრო იცნობენ - მართლაც ლამაზი სახელია) ისედაც გამოირჩეოდა კარგი ოჯახიშვილობით, განათლებით, მეოჯახეობით და მეუღლეობა-დედობით...

თუმცა ერთმა დღემ ისე შეცვალა მისი ცხოვრება, რომ სულ სხვა ადამიანად იქცა...

იმ ერთ დღეს ნატო ქათამაძემ, ქუთაისის საკრებულოს დეპუტატმა, რომელიც მენარმე ქალთა ფონდის დიდი მეგობარი და მხარდამჭერია, თავის სამაჟორიტარო უბანში ქალებს უთხრა, რომ ფონდი ქალთა გაძლიერებისთვის, თვითშეფასების ამაღლებისა და შემდგომი დასაქმების ხელშეწყობისთვის პროექტს ახორციელებდა...



ოლენა დაინტერესდა, მოეწონა პირობები, შეთავაზებები... და მივიდა.

- ქალთა სკოლაზე ბევრის თქმა შემიძლია, - ამბობს ოლენა. - კომპიუტერზე მუშაობა აქ ვისწავლე. ინგლისური, საბუღალტრო საქმე. მაგრამ არა მარტო ცოდნის მიღება იყო მთავარი. კომუნიკაცია, საინტერესო ქალების გაცნობა და მათთან ურთიერთობა, სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართვა, მეტის მიღების მოტივაცია. ყველაფერმა ამან შემცვალა. აქტიურმა ცხოვრებამ გონების უკეთ ამუშავებაც იცის.

არადა, ფიქრობდა, შვილები დაიზარდნენ, ვიქნები სახლში, მეტი რა უნდა ვაკეთოო... მაგრამ ორი წლის წინ, ქალთა სკოლა რომ დაამთავრა, მიხვდა, რომ ეს არ იყო საკმარისი, მეტი შეეძლო. ბუნებით ხომ მაქსიმალისტია, შვილებისგანაც მაქსიმუმს მოითხოვს, საკუთარი თავისგანაც... სწორედ ამ დროიდან დაიწყო მეტი სწავლა, განვითარება. გაიარა ტრენინგების ციკლი: ინკლუზიური განვითარება (რთული ქცევის მართვა), სასწავლო სერვისების შემუშავება, თანამედროვე ინტერაქტიური მეთოდები, თანამედროვე მიდგომები სკოლამდელ აღზრდაში.

ახლის მიღებისკენ, საკუთარი პოტენციალის მეტი გამოვლენისკენ სწრაფვა ქალთა სკოლის დამთავრების მერე გაუჩნდა... შედეგიც გამოჩნდა - ქუთაისის ერთ-ერთ სკოლაში დაიწყო მუშაობა სპეციალურ მასწავლებლად.

4 შვილის დედა, აქტიური ქალბატონი არ კარგავს ურთიერთობას მენარმე ქალთა ფონდთან, ესწრება ღონისძიებებს, ყველა შეხვედრას, სადაც ინვევენ. და როგორც ამბობს, მადლობელია ქალთა ორგანიზაციის, რომელმაც ცოდნაც მისცა და ცხოვრების სტილიც შეუცვალა.

მაღალმთიანი რეგიონის ქალთა მდგრადი განვითარება

პროექტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მაღალმთიანი რეგიონის ქალთა მდგრადი განვითარება - პროფესიული დონის ამაღლება და პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარება ცაგერის მუნიციპალიტეტში.

პროექტის ძირითადი მიზანი იყო ქალების პროფესიული დონის ამაღლება ტრენინგებისა და მასტერკლასების ჩატარების მეშვეობით, მაღალმთიან რეგიონში არსებული პრობლემების გამოკვლევა, ამ პრობლემების გადანყვეტის გზების გამონახვა, ქალების მონაწილეობა ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლების თვითმმართველობის პროცესებში.

სამუშაო რეგიონად შეირჩა სამი სოფელი: ქვედა ცაგერი, ჩხუტელი, გვესო. შეიქმნა სამი საინიციატივო ჯგუფი 10-10 ქალის შემადგენლობით. საინიციატივო ჯგუფთან ჩატარებული შეხვედრებისა და ინფორმაციების ურთიერთგაცვლის შედეგად გამოვლინდა 23 პრობლემა, მათი უმრავლესობა - 21 უკვე მოგვარდა. საინიციატივო ჯგუფი დაესწრო სოფლის თვითმმართველობის 24 შეხვედრას.

2015-2017 წლებში ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე:

ქალთა უფლებების დაცვის საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმები

თვითმმართველობა და საზოგადოების ჩართულობა

მცირე ბიზნესის მართვა

სასამართლო პრაქტიკა და საქმის წარმოება სასამართლოებში

ნიადაგის გაუმჯობესების შესაძლებლობა



ჰუმუსის მეშვეობით და ადგილობრივი რესურსებით

ქალთა პოლიტიკური ჩართულობა: თანასწორობა და თანამონაწილეობა

მიღებული ცოდნის შედეგად საინიციატივო ჯგუფებმა ცაგერის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობაში გადასაწყვეტად წამოაყენეს 5 წინადადება და ხუთივე გადაიჭრა.

დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად ჩატარდა 27 მასტერკლასი სხვადასხვა პროფესიაში:

მეფუტკრეობის პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაძლიერება

ტანსაცმლის ინდუქციის უნარ-ჩვევების განვითარება

მზარეულის და კონდიტერის პროფესიის განვითარება

კენკროვანი კულტურების მოვლა-მოყვანა

საკვები პროდუქტების მოვლა-შენახვა და ევროკავშირში გატანის შესაძლებლობა ცაგერის რეგიონისთვის

საკვები პროდუქტების უსაფრთხოება და ევროკავშირში გატანის შესაძლებლობა

ამ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 310-მა ადამიანმა.

მასტერკლასებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, რადგან საჭიროა ცოდნის ამაღლება ბაზარზე არსებული სიტუაციის შესახებ, კულტურების აგროტექნოლოგიების, მცენარეთა მოვლისა და დაცვის კუთხით.

მასტერკლასების მონაწილეებს მიენოდა ინფორმაცია უეკლო მარწყვის, ჟოლოს, ლურჯი მოცვის სახეობების, მათი აგროტექნოლოგიების, მოვლის, სასარგებლო თვისებების, კომპოსტის წარმოების ხერხის და მისი გამოყენების პირობების შესახებ, ნიადაგის გაუმჯობესების თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოვლა-შენახვის საკითხებზე. მნიშვნელოვანია, რომ პროექტში ჩართულ ადამიანებს გაენია იურიდიული კონსულტაციები მიწის დამტკიცების კანონის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტში.





მასტერკლასი ცაგერში

2017 წლის 24 ნოემბერს მენარმე ქალთა ფონდმა ცაგერის მუნიციპალიტეტში ჩაატარა მასტერკლასი თემაზე „ნიადაგის გაუმჯობესების შესაძლებლობა ჰუმუსის მეშვეობით და ადგილობრივი რესურსებით“.

სულ ესწრებოდა 24 ბენეფიციარი, აქედან - 11 მაკაცი, 13 ქალი.

მონვეულმა ტრენერმა მერაბ ბარათაშვილმა მსმენელებს მიაწოდა ინფორმაცია მცენარეთა სახეობების მიხედვით ნიადაგის მომზადების წესზე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჰუმუსის წარმოების შესაძლებლობას ადგილობრივი რესურსებით, მის გამოყენებას და მოსალოდნელ შედეგებს.

აღნიშნული საკითხების განხილვამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია, რაც აისახა მონაწილეთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებში:

ნატო სილაგაძე: „გავერკვიე ჰუმუსის მომზადების წესში, მინდა რომ ნარჩენი პროდუქტებით დავამზადო ჰუმუსი და მივიღო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი“.

ნათია კვირიკაშვილი: „ძალიან საინტერესო მასტერკლასი ჩატარდა, კარგი იქნება, უფრო ხშირად თუ ჩატარდება“.

ამირან ხეცურიანი: „მომეწონა ჰუმუსის მომზადების ტექნოლოგია, ევროპული ქვეყნების მაგალითები ნიადაგის მომზადების თვალსაზრისით“.

ჯოზეფ ჩეხი (მენეჯერი სლოვაკეთიდან ჰიდროელსადგურის ჯონოული-1 აშენების საკითხებში ცაგერის მუნიციპალიტეტში): „ძალიან კარგი მასტერკლასი იყო. ჰუმუსის გამოყენება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით აუცილებელი პირობაა“.



„ლეჩხუმური ღორი რაჭულ ღორზე ნაკლები არ არის...“

- თუ ადამიანს აქვს შრომის უნარი და ამასთან ერთად, ღირსების გრძნობა, რომ ხელი სხვას არ გაუწოდოს სამათხოვროდ, მშვიერი არასდროს იქნება, - თქვა ქალბატონმა, რომელიც ცაგერის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფელ ლასურიაში ცხოვრობს.

ნუნუ ახვლედიანმა არა მხოლოდ საკუთარი ოჯახი მოაღონიერა, არამედ - სოფელიც. თანასოფლელებს აჩვენა მაგალითი იმისა, რომ ფეხზე მყარად დადგომა სოფლადაც შეიძლება. ირგვლივ რომ ღორი არავის ჰყავდა, მისი ღორები ლასურიაში ტყეებში იკვებებოდნენ და ქალბატონი ნუნუც ღორის უგემრიელეს ღორს ამზადებდა. ამასობაში ქვეყნის ხელისუფლებაც მიხვდა, ქართული ღორის ღორი გემრიელი ყოფილაო და მეღორეობის აღორძინების გზების ძებნას შეუდგა. ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში შემორჩენილი ქართული ღორი აღირიცხა, რომ მისი გამრავლებისთვის ხელი შეეწყობო. ცაგერშიც აღრიცხეს ქართული ჯიშის ღორები.

ქალბატონ ნუნუს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო ცენტრის მეცნიერთანამშრომელმა ურჩია: სუფთა ქართული ჯიშის ღორები გყოლია, გაამრავლე, არ წააგებ, უკვე ქართული ჯიშის ღორიც კარგად იყიდება, თანაც ქვეყანას დაეხმარები, რომ ეს ჯიში არ გადაშენდეს...

და ნუნუ ახვლედიანმაც მოჰკიდა ხელი ქართული ჯიშის ღორის გამრავლებას.

საინტერესოა მისი ნაამბობი:

- არ იყო ადვილი ღორის გამრავლება. სახელმწიფოს არანაირი ფინანსური დახმარება არ შემოუთავაზებია. ჯიშიანი და თანაც სუფთა ქართული სისხლის კერატის შესაძენად მეზობელ სოფელში წავედი. ასე ვაქციე ორ წელიწადში ჩემი ორი ღორი ოცად. რასაკვირველია, ეს ჩემთვის შემოსავალი იყო, მაგრამ ამდენ ღორს კაპიტალური საღორე დასჭირდა და მისი ასაშენებელი თანხა არ მექონდა. საბედნიეროდ, გამოჩნდა ორგანიზაცია, რომელიც დამეხმარა - მასალა უფასოდ მომცეს, აშენე-

ბაში კი ახლობლები და ნათესავები მეხმარებიან. საღორეს, როგორც ჰიგიენური ნორმები ითვალისწინებს, სოფლიდან 500 მეტრის მოშორებით ვაკეთებ. ხალხი მეკითხება, საღორეს აშენებ თუ დარბაზსო. მეცინება, მაგრამ ვუხსნი, რომ ცხოველიც სულიერია და თუ გინდა, შედეგი მოგცეს, პირობებიც უნდა შეუქმნა. ოც ღორს რომ ერთ პატარა საღორეში შერეკავ, დაიხოცებიან. თუ არ დაიხოცნენ, მათი არც მწვადი ივარგებს და არც - ღორი.

ქართული ღორის აღორძინება ღორის გამო დაიწყო. მაგრამ ქართული ღორი მხოლოდ ღორი არ არის, მას სხვა შემოსავალიც მოაქვს და გარდა ამისა, ეკონომიურია. განსაკუთრებით - მთაში, სადაც ღორი ტყის ხილით იკვებება. ზოგჯერ ქართული ღორი ტყიდან მთელი გაზაფხულ-ზაფხული არ გამოდის და პატრონს შემოდგომაზე უკვე გამრავლებული, გოჭებით უბრუნდება. ჩვენს ღორს კი საკუთარი ხილით ვკვებავთ. სოფელში უამრავი ხილია, თავისით ცვივა მიწაზე, ოღონდ არ უნდა დაგეზაროს და შეაგროვო.

ღორი ყოველ ოთხ თვეში მრავლდება. ქართული ღორი 7-8 გოჭს იძლევა და ეს ცოტა არ არის. მე გოჭებსაც ვყიდი. ბევრ გოჭსა და ბევრ ხორცს სჯობს, ცოტა იყოს, მაგრამ - სასარგებლო და გემრიელი. ქართულ ღორს არც სარგებლიანობა აკლია, არც - წონა. ქართული ნეზვი 140 კილოგრამი იზრდება, კერატი კი - 180 კილოგრამი.

ღორი რაჭაში წიფლის ან კოპიტის ბოლში გამოჰყავთ. ჩვენში გამხმარი წაბლის მორები უხვად არის. ამ მორს რომ დავანთებთ შაშხის დასამზადებელ სადგომში, შეიძლება ერთი თვეც არ ჩაქრეს. ბოლავს და არის. ასე რომ, სხვა საქმეებისაგან არ გვაცდენს. გემოვნებაზე ვინ დაობს, მაგრამ მგონია, რომ ლეჩხუმური ღორი რაჭულ ღორზე ნაკლები არ არის. მე ძალიან კარგად ვყიდი. ნათესავებს უამრავი ნაცნობი ჰყავთ, რომლებიც ზაფხულიდან მეხვეწებიან, საზამთროდ შენი ღორების ღორი არ გამოგვაპაროო...

პროექტი „დასავლეთ საქართველოს ქალთა მდგრადი განვითარება, პროფესიული დონის ამაღლება და პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარება“

მენტორული უნარ-ჩვევების განვითარება

პროექტის შემადგენელი ნაწილია ქალთა პიროვნული და მენტორული უნარ-ჩვევების განვითარება. ამ მიმართულების მიზანს წარმოადგენს მენტორების მიერ შეხვედრებისა და ვორკშოპების ჩატარება ახალგაზრდებთან, პრობლემების გამოვლენა და გადაწყვეტა ახალგაზრდების ჩართვით მენტორულ მოძრაობაში.

მენტორის ზეგავლენის შედეგად ახალგაზრდებმა შეძლეს თავიანთი პრობლემების გადაჭრა. მენტორების დახმარებით მიიღეს ცოდნა, რამაც ხელი შეუწყო ახალგაზრდების თვითშეფასების ამაღლებას. მათ მიიღეს გამოცდილება, შეძლეს თავიანთი პოტენციალის გამოვლენა და პრობლემების ადვოკატირება. გაიზარდა ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობები და გაუმჯობესდა მათი ცხოვრების დონე.

ტრენინგები გაიარა 31 ადამიანმა.

ტრენინგებზე განხილულ იქნა მენტორული მხარდაჭერის ძირითადი და საკვანძო საკითხები, მენტორული მიდგომებისა და ურ-

თიერთობის აწყობა, როგორც ზრუნვის საფუძველი.

მენარმე ქალთა ფონდში მენტორებად არჩეულ იქნა საზოგადოებრივი კოლეჯ „იბერიას“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ანა ცუცქირიძე და ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ქუთაისის ფილიალის პედაგოგი ნატალია თოდუა.

მენტორმა ანა ცუცქირიძემ და სამენტორო პროგრამაში ჩართულმა ახალგაზრდებმა დახმარება აღმოუჩინეს კოლეჯ „იბერიას“ ერთ-ერთ სტუდენტს - სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტს, რომელსაც ოჯახური პრობლემები ჰქონდა. გოგონას ხელი შეუწევს სამუშაოს მოძიებაში, რათა საკუთარი შემოსავალი მიეღოს. მათ მუშაობის დაწყებაში ასევე დახმარება აღმოუჩინეს ერთ-ერთ თანაგუნდელს და მის მამას.

მენტორ ნატალია თოდუასა და ახალგაზრდების მიერ ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობაში შეტანილ იქნა წინადადება ერთ-ერთ სკოლასთან საგზაო გადასასვლელის მოწყობის შესახებ, რაც განხორციელდა კიდევ.



ინკლუზიური პროფესიული განათლება - გზა დასაქმებისაკენ

ირმა ნ. 27 წლისაა. აქვს მე-4 ხარისხის ნე-
იროსენსორული სმენაჩლუნგობა და მხედ-
ველობის სირთულე. სწავლობდა ქუთაისის
45-ე ყრუ ბავშვთა სკოლაში.

ირმამ კოლეჯ „იბერიას“ შესახებ გაიგო
მეგობრებისგან, რომლებსაც უკვე დასრუ-
ლებული ჰქონდათ სხვადასხვა პროფესი-
ული პროგრამა. ირმა კოლეჯში დედასთან
ერთად მივიდა. გაეცნო არსებულ პროფესი-
ებს, სახელოსნოებში აკვირდებოდა პრაქტი-
კულ აქტივობებს.

ირმამ არჩევანი მზარეულის პროფესია-
ზე შეაჩერა. მისთვის დაიგეგმა ალტერნატი-
ული პროფესიული ტესტირება, რომელშიც
მონაწილეობას იღებდნენ: დირექტორის მო-
ადგილე, კარიერის მენეჯერი, პროფესიის
მასწავლებელი, ინკლუზიური განათლების
სპეციალისტები და შესტური ენის თარჯი-
მანი. ერთდროულად, ირმა აქტიურად ჩა-
ერთო მენტორულ მოძრაობაში, რომელსაც
ხელმძღვანელობს ანა ცუცქირიძე. თხოვნით
მიმართეს კოლეჯს, ისე წარიმართოს საგაკ-
ვეთილო პროცესი, რომ სმენის არმქონე
სტუდენტისთვის მაქსიმალურად გასაგები
იყოს. ამ მიზნით კოლეჯმა აიყვანა შესტური
ენის თარჯიმანი. სწავლის დასაწყისში ირმა
მხოლოდ თარჯიმანთან და მენტორთან ამ-
ყარებდა კომუნიკაციას. უჭირდა სხვებთან
ურთიერთობა. ამ ურთიერთობების დროს
გამოვლინდა, რომ მას ჰქონდა სიტყვათა
მწირი მარაგი.

მენტორმა შეგირდებთან ერთად გაა-
კეთა მცირე პრეზენტაცია „ინკლუზიუ-
რი განათლების გუნდის“ ფუნქციების და

სხვადასხვა ტიპის შეზღუდვის მქონე ადა-
მიანებთან ეფექტური კომუნიკაციის ხერ-
ხების შესახებ, რის შემდეგაც შეგირდე-
ბის ნაწილმა, თავისი სურვილით, ისწავლა
გარკვეული შესტები და თარჯიმნის გა-
რეშეც ახერხებდნენ მარტივ კომუნიკაცი-
ას ირმასთან.

ყოველივე ამის შედეგად, ირმა უფრო კო-
მუნიკაბელური გახდა, ჩაერთო ფორმალურ
და არაფორმალურ აქტივობებში.

გოგონას ცხოვრება რადიკალურად შეიც-
ვალა: მას გაუჩნდა ბევრი მეგობარი, რომ-
ლებთან ერთადაც დადიოდა ექსკურსიებზე,
გასართობ ღონისძიებებზე. გაიზარდა მისი
აკადემიური მოსწრება და სასწავლო კურ-
სის დასასრულს გამოთქვა სურვილი, რომ
გადასულიყო მომდევნო საფეხურზე, სადაც
უცხოურ სამზარეულოს შეისწავლიდა. ირ-
მამ დაამთავრა სწავლების მესამე საფეხური
და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპ-
ლომიც მიიღო.

მენტორის მიერ უკვე მოძიებული სამე-
წარმეო პრაქტიკის ობიექტებიდან, კარიე-
რის მენეჯერისა და ინკლუზიური განათ-
ლების სპეციალისტების დახმარებით შე-
ირჩა კლიენტების სიმრავლით გამორჩეული
რესტორანი „ბაგრატი-2007“.

პრაქტიკის გავლის შემდეგ, ირმას გაუ-
ხანგრძლივდა სტაჟირების პერიოდი სამი
თვით. ამან უფრო აამაღლა მისი მოტივა-
ცია. სამი თვის შემდეგ კი დამსაქმებელმა
გადაწყვიტა მისი სამსახურში აყვანა. ირმა ნ.
დღესაც იქ მუშაობს და კმაყოფილია საქმით,
შემოსავლით.

პროექტი „დასავლეთ საქართველოს ქალთა მდგრადი განვითარება, პროფესიული დონის ამაღლება და პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარება“

საზოგადოებასთან ურთიერთობა, ადვოკატირება, ლობირება

შემუშავდა ქალთა სოციალური როლის ამაღლების ხელშემწყობი საკანონმდებლო და სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებები იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის „მხოლოდ ერთად დავამარცხებთ სიღარიბეს“ მუშაობის შედეგად.

აქტიურად მიმდინარეობდა:

საზოგადოებრივი კამპანიები საზოგადოების ინფორმირების მიზნით; ქალთა შრომითი უფლებების დაცვა, მათი ინფორმირება თავიანთი უფლებების შესახებ;

ქალთა შრომითი უფლებების დაცვა, კვლევების წარმოება ამ მიმართულებით.

ქსელი „მხოლოდ ერთად დავამარცხებთ სიღარიბეს“

მეწარმე ქალთა ფონდის ორგანიზებით ფუნქციონირებს ქსელი „მხოლოდ ერთად დავამარცხებთ სიღარიბეს“. ქსელში გაწევრიანებულია იმერეთის რეგიონში მოქმედი 12 არასამთავრობო ორგანიზაცია. ქსელის წევრი ორგანიზაციები სამი წლის განმავლობაში ერთობლივად ახდენდნენ ქალთა შრომითი უფლებების დაცვისაკენ მიმართული საკანონმდებლო წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას.

ქსელმა ჩაატარა ექვსი სამუშაო შეხვედრა. შემუშავდა ერთი საკანონმდებლო და სამი სარეკომენდაციო ხასიათის წინადადება.

2017 წლის 16 თებერვალს საქართველოს პარლამენტში დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში პარლამენტის დეპუტატებთან მეწარმე ქალთა ფონდმა გააკეთა მოხსენება საკანონმდებლო წინადადებაზე, რომელიც მრავალშვილიანი დედებისათვის (რომელთაც ჰყავთ სამი და მე-

ტი შვილი) საგადასახადო შეღავათის დაწესებას შეეხება; ინიციატივა მხარდაჭერილ იქნა კომიტეტის სხდომაზე დამსწრეთა სრული შემადგენლობის მიერ. აღნიშნული ინიციატივის შესახებ ვრცელი სიუჟეტი გავიდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გადაცემა „მოამბეში“.

- მომზადდა სარეკომენდაციო წინადადება იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის სახელზე, რომელიც სამოქალაქო რეესტრში მოქალაქეებისათვის ცალკეულ საკითხებზე (საოჯახო სამართალი, ოჯახში ძალადობის კანონის პოულარიზაცია) საკონსულტაციო ცენტრების შექნას შეეხება;

- მომზადდა ანკეტა-კითხვარები, რომელთა საშუალებითაც გამოკვლეულ იქნა კერძო სექტორში დასაქმებული ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა;

- მეწარმე ქალთა ფონდი ერთ-ერთი ინიციატორია ცვლილებებისა, რომლის საშუალებითაც ორმაგი მოქალაქეობის მქონე დევნილ პირებს საცხოვრებელი ფართის მინიჭებისას შეზღუდვა მოეხსნათ;

- იმის გამო, რომ ქუთაისში და მთლიანად

საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევებისას გაიზარდა ფეხით მოსიარულეთა სიკვდილიანობა, მენარმე ქალთა ფონდმა 2016 წლის 1 ივლისს იურიდიულ საკითხთა კომიტეტს მიმართა რეკომენდაციით დაჩქარებული წესით განიხილოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვისას ადმინისტრაციული სახდელების გამკაცრების საკითხი;

- 2016 წლის 27 ივლისს მენარმე ქალთა ფონდმა მონაწილეობა მიიღო ინტერნეტ-გაცემაში, რომელიც საგზაო უსაფრთხოების გაზრდის მოთხოვნით მოამზადა „ქუთაისიპოსტმა“; (იხ. <http://www.kutaisipost.ge/statiebi/sazogadoeba/artikle/4023-quthaisshisagzao-kanonis-gamkacrebas-itkhoven-infografika>);

2016 წლის 23 დეკემბერს გაიმართა ქსელის „მხოლოდ ერთად დავამარცხებთ სიღარიბეს“ სამუშაო შეხვედრა. მონაწილეებმა განიხილეს კერძო სექტორში დასაქმებული ადამიანების კვლევის ანალიზი და განსაზღვრეს 2017 წლის მუშაობის პრიორიტეტები; შეხვედრაზე შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. ქსელის ფარგლებში შეიქმნას საკონსულტაციო კლუბი, რომლის საშუალებითაც მოხდება დასაქმებულების ინფორმირება;

2. გაკეთდეს ანალიზი, როგორია ასაკობრივი კატეგორიის განათლების, სოციალური სტატუსის - ქალების მდგომარეობა მათი შრომითი უფლებების დაცვის კუთხით;

3. ჩატარდეს დაუსაქმებელი ქალების გამოკითხვა-კვლევა და გაანალიზდეს დასაქმების ხელისშემშლელი ფაქტორები - ეს გამოწვეულია კვალიფიკაციით თუ სახელმწიფო პროგრამების არაობიექტური მიდგომების (ნებოტიზმი) გამო;

4. ქსელმა იმუშაოს სოციალურად დაუცველი ადამიანების უფლებების დაცვისთვის. მოხდეს შესაბამისი რეაგირება ქულების მინი-

ჭებისას დარღვეულ პროცედურებზე და სოციალურად დაუცველი ადამიანების ინფორმირება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

მენარმე ქალთა ფონდმა ჩაატარა კვლევა კერძო სექტორში დასაქმებულ ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე. შემუშავდა ანკეტა-კითხვარი.

2016 წლის ივლისიდან ნოემბრის ჩათვლით გამოიკითხა კერძო სექტორში დასაქმებული 116 ადამიანი.

გამოკვლეულ იქნა მათი პრობლემები, შემუშავდა რეკომენდაციები:

აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან განისაზღვროს ხელფასის მინიმუმი;

დასაქმების ადგილებზე (განსაკუთრებით იქ, სადაც დასაქმებული პერსონალის უმეტესობა ქალია) დამსაქმებლებს დაევალოთ ქალთა ჰიგიენური ოთახების უზრუნველყოფა;

განხორციელდეს ეფექტური შრომითი შემონმებები, შეიქმნა სამუშაო პირობების შემონმების ადეკვატური პოტენციალის მქონე მექანიზმები (მაგალითად, ჩამოყალიბდეს ეფექტური შრომის ინსპექციის სისტემა);

სახელმწიფომ დროულად მოახდინოს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება - განსაკუთრებით იმ მიმართულებით, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ან დასაქმებასთან დაკავშირებული ურთიერთობების შესახებ დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთა ინფორმირების ვალდებულებას, მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების ხელშეწყობი ზომების მიღებას შეეხება;

არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით გაიზარდოს დასაქმებულ ადამიანთა ცნობიერება შრომითი უფლებების შესახებ.



მშვიდობის საერთაშორისო დღე

21 სექტემბერს აღინიშნება მშვიდობის საერთაშორისო დღე. მეწარმე ქალთა ფონდი მშვიდობის აქტიური მხარდამჭერია და ამ დღეს შეხვედრებს ატარებს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულების მოსწავლეებთან და ბენეფიციარებთან. ორგანიზაცია ყოველწლიურად აქტიურად ეხმაურება მშვიდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნის მიზანს: „პატივი მივაგოთ და გავაძლიეროთ იდეები მშვიდობის შესახებ მსოფლიოში“.

კამპანია „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“

25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით მეწარმე ქალთა ფონდი აქტიურად ერთვება საერთაშორისო კამპანიაში „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“. 2015-2017 წლებში მეწარმე ქალთა ფონდმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ქუთაისში გამართულ საპროტესტო აქციებში. ამას გარდა საინფორმაციო შეხვედრები გამართა სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეებთან, საზოგადო მოღვაწეებთან (პოეტებთან, მსახიობებთან, საზოგადოებაში გამორჩეულ ადამიანებთან).

2016 წლის 25 ნოემბერს, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს მეწარმე ქალთა ფონდმა და ააიპ „ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრმა“ ცაგერის მუნიციპალიტეტში აქცია-მსვლელობა მოაწყვეს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 60-მა ადამიანმა. ქალთა მიმართ ძალადობა დაგმეს ლეჩხუმელმა ქალებმა სოფლებიდან: ჩხუტელი, ქვედა ცაგერი, გვესო, ლუხვანო, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა. აქციის მონაწილეებმა ხელისუფლებას მაღალმთიან რეგიონში ქალთა უფლებების დაცვისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისაკენ მოუწოდეს.

მეწარმე ქალთა ფონდი აცნობს საზოგადოებას ამ გლობალური პრობლემის შესახებ, ხე-



ლისუფლებას კი ქალთა უფლებების დაცვის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმკვეთი ქმედითი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებისაკენ მოუწოდებს.

აქცია პარლამენტთან

2016 წლის 18 ნოემბერს ქუთაისში, პარლამენტის შენობის წინ გამართულ აქციაში მიიღო მონაწილეობა მეწარმე ქალთა ფონდმა. ქმედითი შრომითი ინსპექციის შექმნას, მწვანე ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპების დანერგვას, განათლების ფუნდამენტური რეფორმის განხორციელებას და რეპრესიული ნარკოპოლიტიკის დასრულებისაკენ მოუწოდებდნენ აქციის მონაწილეები მე-9 მოწვევის პარლამენტარებს.

აქცია პროფესიული კავშირების გაერთიანებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ იყო ორგანიზებული. ორგანიზატორებმა კანონმდებლებს შეახსენეს, რომ რეალური ცვლილებების დრო დადგა.



თანამშრომლობა

მენარმე ქალთა ფონდს თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული შემდეგ სახელმწიფო სტრუქტურებთან, სასწავლო დაწესებულებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან:

საქართველოს პარლამენტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ქუთაისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი
ნატო ქათამაძე

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ქალთა კომიტეტი

ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გვესოსა და ქვემო ცაგერის გამგებლის რწმუნებული დავით ხეცურიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტელის გამგებლის რწმუნებული ბადრი სილაგაძე

ფოთის განსახლებულ დევნილთა საზოგადოებრივი საბჭო

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (ქუთაისის ფილიალი)

საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების დეპარტამენტი

სამეცნიერო ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“

ქალთა ორგანიზაცია „ვაკეთოთ ერთად“

ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“

ქუთაისის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი

დევნილთა ქსელი „სინერგია“

„SOS ბავშვთა სოფელი ქუთაისი“

ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის კავშირი „ჰერა“

ფონდი „აფხაზინტერკონტი“

ასოციაცია „ქალები რეგიონის განვითარებისთვის“

GSRT-წამების მსხვერპლთა ფსიქორეაბილიტაციის ცენტრი

ფოთის სახელმწიფო პროფესიული კოლეჯი „ფაზისი“

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო დანაშაულისა და პრევენციის ცენტრი

ადვოკატირება და მოგვარებადი პრობლემები

ფოთი - ერთი სვლილების ჰედები

გულნაზი ბ.-მ კონსულტაციისათვის მენარმე ქალთა ფონდს 2015 წლის მაისში მიმართა. ის ქალაქ ფოთში ცხოვრობს. დევნილია, სოციალურად დაუცველი, ორი შვილის დედა. ბინის მიღებისას ფართის მინიჭებაზე უარი განუცხადეს, რადგან ორმაგი მოქალაქეობის (რუსეთისა და საქართველოს) მქონე პირია.

მენარმე ქალთა ფონდი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის სამეთვალყურეო საბჭოს ფარგლებში შექმნილი მეორე საექსპერტო ჯგუფის (საცხოვრებელი ფართების განაწილების მექანიზმების დახვეწა) წევრია.

2015 წლის 16 ივლისს, ჯგუფის სამუშაო შეხვედრაზე მენარმე ქალთა ფონდის თავმჯდომარემ მერი გელაშვილმა გულნაზი ბ.-ს პრობლემაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ აუცილებელია ორმაგი მოქალაქეობის მქონე დევნილებმა მიიღონ ფართი, რათა სრულფასოვნად იგრძნონ თავი საქართველოს მოქალაქეებად.

როგორც აღმოჩნდა, ეს პრობლემა არაერთ დევნილს აწუხებდა და დროულ რეაგირებას საჭიროებდა, ამიტომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა სამინისტროს მიმართეს ინიციატივით, მოხსნილიყო შეზღუდვა ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისათვის ფართის მინიჭებისას. შემუშავდა საინიციატივო წინადადებები. სამინისტროს მიერ გაზიარებულ იქნა აღნიშნული მოთხოვნა. შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებაში შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები, მათ შორის გულნაზი ბ.-ც, მიიღებენ გაცილებით მეტ ფართს, ვიდრე ეს ცვლილებამდე იყო შესაძლებელი.

პროექტის ზედამხედველი კომიტეტის სამუშაო შეხვედრა

მეწარმე ქალთა ფონდში 2017 წლის 16 ოქტომბერს პროექტის „დასავლეთ საქართველოს ქალთა მდგრადი განვითარება, პროფესიული დონის ამაღლება და პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარება“ ფარგლებში ზედამხედველი კომიტეტის სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს კომიტეტის წევრებმა: ნატო ქათამაძემ - ქუთაისის საკრებულოს დეპუტატი, ნათია კოპალიანმა - იმერეთის რეგიონში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე დევნილთა საკითხებში და ნანული რამიშვილმა - პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“, სხდომის მდივანი - ინგა მაღლაფერიძე.

ზედამხედველი კომიტეტის მიერ განხილულ იქნა 2017 წლის პირველი ნახევრის ანგარიში, გაკეთდა 2015-2017 წლებში პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებისა და მიღწეული შედეგების შეფასება.

დამსწრეებმა აღნიშნეს, რომ მეწარმე ქალთა ფონდი არის ორგანიზაცია, რომელიც რეალურად მუშაობს ქალთა საჭიროებებზე მორგებულ პროექტებზე: აქ დასაქმებულია კვალიფიციური გუნდი, რომელმაც კარგად იცის თავისი საქმე, სწორად ახდენს სამიზნე ჯგუფების პრობლემების იდენტიფიცირებას და ეძებს პრობლემების გადაჭრის გზებს. მათ პროექტის განხორციელება დადებითად შეაფასეს.

პროექტის ზედამხედველი კომიტეტი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და მისი მუშაობის მიზანია ორგანიზაციის მუშაობის გამჭვირვალობისა და პოტენციალის გაზრდის უზრუნველყოფა.



აღმოკატირებული და მოგვარებული პრობლემები

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით მოგვარებული პრობლემა

2017 წლის იანვარში მოგვმართა მოქალაქე სალომე ს.-მ, რომლის შვიდი წლის შვილს აღენიშნება ორმხრივი ნეიროსენსორული ხასიათის უმძიმესი მე-4 ხარისხის სმენაჩლუნგობა. 2013 წელს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ ბავშვს გადასცა კოხლეარული იმპლანტი და დაუფინანსა კოხლეარული იმპლანტაციის ოპერაცია. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ბავშვის მდგომარეობა.

2016 წელს მაისში ბავშვს გაუფუჭდა კოხლეარული იმპლანტის პროცესორი, რამაც გამოიწვია მისი ფსიქიკური აღელვება და შეექმნა კომუნიკაციის პრობლემა, აღარ სურდა სკოლაში სიარული.

სალომე ს.-მ მოგვმართა თხოვნით, დავხმარებოდით აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში. ჩვენ მოვამზადეთ განცხადება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბატონ დავით სერგეენკოს სახელზე. დეტალურად აღვწერეთ ოჯახისა და ბავშვის უმძიმესი მდგომარეობა და მოვითხოვეთ დახმარება ახალი კოხლეარული იმპლანტის შეძენაში.

2017 წლის თებერვალში სალომე ს.-მ სამინისტროსაგან მიიღო დახმარება და მარტში მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

მადლობა მენარმე ქალთა ფონდს

ჩვენ ვცხოვრობთ ქუთაისში, გელათის ქუჩაზე. სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა ხარვეზებით. ჩვენი ეზოები წვიმის დროს იტბორებოდა სანიაღვრე არხიდან გადმოვარდნილი წყლით. სავალი ნაწილის დამცავი კედელი იყო დაბალი, რითაც საფრთხე ექმნებოდა ბავშვებს, რადგან ჩვენი ეზოები მდებარეობს დაბალ ზოლში და იქედან ადამიანის გადავარდნის საფრთხე დიდია. ჩვენი ძალებით ვერ მივაღწიეთ სასურველ შედეგს და მივხვდით, რომ დახმარება გვჭირდებოდა.

მენარმე ქალთა ფონდის შესახებ რადიოდან და ტელევიზიიდან ვიცოდით და 2015 წლის ნოემბერში მივმართეთ ამ ორგანიზაციას. ფონდის თანამშრომლები ჩვენს პრობლემას გულისხმიერად მოეკიდნენ. ორგანიზაციის იურისტმა ინგა მაღლაფერიძემ მოამზადა კოლექტიური განცხადება ქუთაისის მერის სახელზე. ფაქტების უკეთ დაფიქსირების მიზნით წვიმის დროს თავისი ინიციატივით ამოიყვანა რეგიონალური ტელეკომპანია „რიონის“ ჟურნალისტი და ოპერატორი და გაკეთდა სიუჟეტი, სადაც ჩვენს პრობლემაზე ვისაუბრეთ.

ქუთაისის მერმა შეისწავლა ჩვენი განცხადება, გამოყო დამატებითი თანხები და სანიაღვრე არხზე ბეტონის საფარის ნაცვლად გადაკრულ იქნა რკინის ბადე. მოქალაქეების სავალ ნაწილზე კი უსაფრთხოების დაცვის მიზნით ამაღლდა დამცავი გვერდითი კედელი.

ჩვენ უზომოდ მაღლიერები ვართ მენარმე ქალთა ფონდის. რომ არა მათი დახმარება, ნამდვილად ვერ შევძლებდით ჩვენი (და არამარტო ჩვენი) პრობლემების მოგვარებას.

გელათის ქუჩის მცხოვრებლები

მამისა და შვილების ისტორია კარგი ფინალით

2017 წლის ივლისში მოგვმართა გიორგი ქ-მ. როგორც აღმოჩნდა, ის განქორწინებულია მეუღლესთან და მისი არასრულწლოვანი შვილები ცხოვრობდნენ ბებიასთან და ბაბუასთან სხვა რეგიონში. საუბრიდან გამოიკვეთა, რომ გიორგის არ ჰქონდა კომუნიკაცია საკუთარ შვილებთან, ყოფილი მეუღლეც (რომელიც გათხოვილია თურქეთში) ვერ ახერხებდა ბავშვების ნახვას და ბავშვები იზრდებოდნენ, მშობლების ყურადღებას მოკლებულნი.

გიორგიმ გვთხოვა, განგვემარტა მისთვის, თუ რა უფლებები გააჩნდა მას, როგორც მშობელს. ჩვენ ავუხსენით, რომ მშობლებს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ შვილების მიმართ, რომ მშობლის პირადი მოვალეობაა უზრუნველყოს შვილის უფლებების დაცვა, ვალდებულია დაიცვას შვილის ინტერესები, იზრუნოს მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის. რომ იგი ვალდებულია, პირადად არჩინოს შვილი, სანამ იგი არასრულწლოვანია და არავის არ აქვს უფლება, შეუზღუდოს მას მამის უფლება.

გიორგისთან ურთიერთობისას ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტორზე, რომ მამასთან კომუნიკაციის არქონა ბავშვებში იწვევს ადაპტაციის პრობლემებს და, ზრდასთან ერთად, დესტრუქციულ ქცევებს.

შეხვედრის მერე გიორგის გაუჩნდა სურვილი, თავად მიეღო მონაწილეობა შვილების აღზრდაში. დაიწყო მოლაპარაკება ყოფილი მეუღლის მშობლებთან და განემარტა მათ, რომ ისინი უზღუდავდნენ მას მშობლის უფლებას. მიახვედრა ისინი, რომ კარგად იცოდა მშობლის უფლებები და ცდილობდა, მოლაპარაკების გზით მოეგვარებინა მათთან ურთიერთობა.

ორთვიანი კონსულტაციების და ჩვენი აქტიური დახმარების შედეგად გიორგიმ მიაღწია შეთანხმებას ყოფილი მეუღლის მშობლებთან. დღეს შვილები მასთან ცხოვრობენ. ის ბედნიერია და ბავშვებმაც იციან, რა დიდი სიყვარული აქვს მათ მიმართ მამას.

პროექტის შედეგების შეჯამება სატელევიზიო ეთერით

პროექტის „დასავლეთ საქართველოს ქალთა მდგრადი განვითარება, პროფესიული დონის ამაღლება და პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარება“ ფარგლებში ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში გავიდა ორი გადაცემა.

2016 წლის 15 დეკემბერი: გადაცემაში მენარმე ქალთა ფონდის თანამშრომლებმა მიღწეული შედეგები და მუშაობის სამომავლო გეგმები გააცნეს ფართო საზოგადოებას. პროექტის დირექტორმა, ასისტენტებმა, მენტორებმა და პარტნიორებმა ვრცლად ისაუბრეს წლის განმავლობაში განხორციელებულ აქტივობებზე, რომლებიც ქალთა განათლების, განვითარების და გაძლიერებისაკენ არის მიმართული.

2017 წლის 2 ოქტომბერი: პირდაპირ ეთერში გავიდა გადაცემა, რომელზეც განხილულ იქნა პროექტის მიმდინარეობა და მიღწეული შედეგები. გადაცემაში მონაწილეობ-

დნენ პროექტის დირექტორი მერი გელაშვილი, პროექტის ასისტენტები: ანჟელა ჩიხლაძე, ნატრული ნაჭყებია, ინგა მაღლაფერიძე, ელენა ყუფარაძე.

ტელემაყურებელს მონაწილეებმა მიაწოდეს ინფორმაცია პროექტის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობაზე ყველა მიმართულებით:

- ქალთა სკოლა და მისი კურსდამთავრებულები;
- მაღალმთიან რეგიონში, ცაგერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების საჭიროებების შესწავლა;
- მენტორების საქმიანობა და აქტივობის ამაღლება;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის ასპექტები, მენარმე ქალთა ფონდის მიერ შემუშავებული და წარდგენილი საკანონმდებლო ინიციატივები



პროექტი „ქალთა გაძლიერება საქართველოს მთიან რეგიონებში“



2014-2015 წლებში მეწარმე ქალთა ფონდმა ცაგერის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში განახორციელა პროექტი: „ქალთა გაძლიერება საქართველოს მთიან რეგიონებში“, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით.

პროექტის მიზნები იყო:

- ქალთა მონაწილეობის მხარდაჭერა ეკონომიკურ საქმიანობაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების გადაცემით;
- მონაწილეთა ცნობიერების ამაღლება ადგილობრივი საჯარო პოლიტიკის დაგეგმვისა და ჩართულობის, სამოქალაქო ადვოკატირების შესაძლებლობების საკითხებზე;
- გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების დაფუძნება.

ამ მიზნების განხორციელებისათვის მეწარმე ქალთა ფონდმა მოახდინა ქალთა მობილიზება ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში.

ჩატარდა ტრენინგების ციკლი: მცირე ბიზნესში, სამოქალაქო ადვოკატირებაში და ადამიანის უფლებებსა და გენდერულ თანასწორობაში.

ტრენინგებში 53 ბენეფიციარი მონაწილეობდა.

მონაწილეებს გაენიათ კონსულტაციები პროექტების შედგენასა და ფანდრაიზინგში, შედეგად - მათ შეავსეს „საქართველოს სტრატეგიული განვითარებისა“ და „მერსი ქორფის“ განაცხადის ფორმები საოჯახო ფერმერული მეურნეობისა და ფერმერული კოოპერატივების განვითარების მიმართულებით. განაცხადების უმრავლესობა დაკმაყოფილდა.

ცაგერსა და ამბროლაურში დაფუძნდა გენდერულ საკითხებზე მომუშავე ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც განაგრძობენ ფუნქციონირებას და ემსახურებიან თავიანთი თემების განვითარებას.



პროექტი „გენდერული თანასწორობა და ევროინტეგრაცია, ვიშეგრადის ქვეყნების გამოსვლილება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის“



2015-2016 წლებში მენარმე ქალთა ფონდმა განხორციელა საერთაშორისო პროექტი: „გენდერული პოლიტიკა და ევროინტეგრაცია, ვიშეგრადის ქვეყნების გამოსვლილება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის“.

პროექტი ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის (International Visegrad Fund) მიერ იყო დაფინანსებული.

პროექტის განხორციელებაში საქართველოდან მონაწილეობდნენ ექსპერტები: მერი გელაშვილი, ელენა ყუფარაძე, ეკატერინე გამახარია, მაია კუპრავა, ნარგიზა არჯევანიძე და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია „ავანგარდი“ (აფხაზეთი).

პარტნიორ მხარეებს წარმოადგენდნენ: უკრაინიდან - „გურტის რესურს ცენტრი“, ჩეხეთის რესპუბლიკიდან - „გენდერული კვლევები“, უნგრეთიდან - „უნგრეთის ქალ-

თა ლობი“, სლოვაკეთიდან - „სოციოლოგიის ინსტიტუტი, სლოვაკეთის მეცნიერებათა აკადემია“, პოლონეთიდან - „სოციოლოგიის ინსტიტუტი, ჯაგელონიის უნივერსიტეტი“.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა საქართველოსა და უკრაინაში არსებული გენდერული პოლიტიკის ანალიზი, რომლის საფუძველზეც ვიშეგრადის ქვეყნებმა მათ პირდაპირი რეკომენდაციები შესთავაზეს და გენდერული პოლიტიკის რეფორმირების



ის გამოცდილება გაუზიარეს, რომელიც ევროინტეგრაციისაკენ მიმავალ გზაზე გაიარეს.

პროექტის ფარგლებში მოეწყო საჯარო ლექციები, ჩატარდა რადიო და ტელეგადაცემები, რომელთა საშუალებითაც საზოგადოებამ სრული ინფორმაცია მიიღო პროექტის აქტივობებსა და მიღწეულ შედეგებზე; გამოიცა ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ანალიტიკური სტატიების კრებული, რომელშიც წარმოდგენილია ვიშეგრადის ქვეყნების (ჩეხეთის, უნგრეთის, სლოვაკეთის და პოლონეთის) პრაქტიკული გამოცდილების ამსახველი მაგალითები გენდერულ თანასწორობაზე

ორიენტირებული პოლიტიკის მიმართულებით; შეფასდა საქართველოსა და უკრაინაში არსებული გენდერული ვითარება; ვიშეგრადის ქვეყნებიდან მოწვეული ექსპერტების მიერ მომზადდა რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს მომავალში საქართველოსა და უკრაინაში მოწინავე ქვეყნების გამოცდილების ტრანსფერს, ეფექტური გენდერული პოლიტიკის სწორი წარმოდგენებისა და მოლოდინების ჩამოყალიბებას.

გამოცემა გაეგზავნა პრეზიდენტის ბიბლიოთეკას და ხელმისაწვდომია უმაღლესი სასწავლებლებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისთვის.



პროექტი N675

„ნაბიჯ-ნაბიჯ უკეთესი მომავლისაკენ“

პროექტი №675 „ნაბიჯ-ნაბიჯ უკეთესი მომავლისაკენ“ დაფინანსებულია ევროკავშირისა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს მიერ.

პარტნიორი ორგანიზაცია: Hilfswerk Austria International

ადგილობრივი პარტნიორები:

იგპ ასოციაცია „თანხმობა“

მენარმე ქალთა ფონდი

საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“

ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის უნივერსიტეტი

ასოცირებული პარტნიორები:

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

პროექტის მიზანია ყოფილი მსჯავრდებულების, მათი ოჯახის წევრების, პრობაციონერებისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ჯგუფების რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია.

პროექტი გენეზიცირებს სთავაზობს:

- ორ-სამთვიან პროფესიულ კურსებს ქუთაისის საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიაში“ პროფესიული მიმართულებით (21 პროფესია)
 - ფსიქოლოგიის, სოციალური მუშაკის, სასიცოცხლო უნარების ტრენერის, იურისტის უფასო კონსულტაციებს და დახმარებას
 - ანაზღაურებად ორთვიან სტაჟირებას
 - რესოციალიზაციის პროცესზე დაკვირვებას მენტორების დახმარებით
- პროექტში მონაწილეები უზრუნველყო-

ფილნი არიან კვებით და უნაზღაურდებათ მგზავრობის ხარჯები.

პროექტის ფარგლებში მენარმე ქალთა ფონდს მჭიდრო თანამშრომლობა აქვს იმერეთის რეგიონის პრობაციის ბიუროსთან და დანაშაულის პრევენციის ცენტრთან.

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ჩატარდა პროექტის პრეზენტაცია, წარმოდგენილ იქნა პროექტის ძირითადი კომპონენტები და იმერეთის რეგიონში დაგეგმილი აქტივობები.



ჩატარდა შეხვედრები თერჯოლის, ზესტაფონის, სამტრედიის და ხონის მუნიციპალიტეტებში - მიეწოდათ ინფორმაცია ყოფილი მსჯავრდებულებისა და მათი ოჯახის წევრების ჩართვის შესახებ პროგრამაში, გაეცნენ პროგრამის უპირატესობებს.

იმაერთის რეგიონში

2017 წლის მაისიდან სწავლა დაიწყო 13 პრობაციონერმა - 10 მამაკაცი და 3 ქალი.

9 პრობაციონერმა - 6 მამაკაცი და 3 ქალი - სწავლა დაასრულა და მიიღო საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიის“ სერთიფიკატი.

დასაქმდა 4 პრობაციონერი.

სექტემბერ-ოქტომბერში სწავლა დაიწყო 19 ბენეფიციარმა (5 ბენეფიციარი - ყოფილი მსჯავრდებულები და მათი ოჯახის წევრები, 14 ბენეფიციარი - პრობაციონერი). ისინი სწავლას დაამთავრებენ დეკემბრის ბოლოს და მოხდება მათი ხელშეწყობა დასაქმებისათ-

ვის, სტაჟირებისა და საგრანტო პროგრამაში ჩართვისათვის.

2018 წლის თებერვლიდან იგეგმება ამ პროგრამაში ახალი ბენეფიციარების ჩართვა, რისთვისაც მსურველებს შეუძლიათ მიმართონ მენარმე ქალთა ფონდს, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის ბიუროს, დანაშაულის და პრევენციის ცენტრს.

პროექტში მონაწილე ყველა ბენეფიციარი კმაყოფილია პროექტის სერვისებით და კოლეჯ „იბერიაში“ მიღებული ცოდნით. ხდება მათი ინტეგრირება საზოგადოებაში და ოჯახური პირობების, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ბენეფიციარების თხოვნით მენარმე ქალთა ფონდში დამატებით პროექტ №675-სათვის გაიხსნა კომპიუტერული პროგრამებისა და ინგლისური ენის შემსწავლელი უფასო კურსები, სადაც სწავლებას გადის 17 ბენეფიციარი.



მენარმე ქალთა ფონდის 2017-2022 წლების სტრატეგიული გეგმიდან

მისია

ქალთა და გოგონათა გაძლიერება მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის და საზოგადოებაში მათი როლის გასაუმჯობესებლად პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებით, დასაქმებაში მხარდაჭერით, შრომითი უფლებების დაცვით და ადვოკატირებით, ქალების ჩართულობით გადანყვეტილების მიღების პროცესში.

სტრატეგიულ გეგმაში ჩვენ გავამყარეთ მენარმე ქალთა ფონდის ძირითადი პრინციპები და მიზნები:

- გენდერული თანასწორობის გაძლიერება და ქალთა ჩართულობა სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში;

- ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობის განვითარების და სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობა;

- დასაქმებულ ქალთა უფლებების მხარდაჭერა და დაცვა;

- ქალთა და ახალგაზრდების პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება მომავალში მათი დასაქმების მიზნით;

- მთიან რეგიონებში ქალთა ინფორმირება და მათი ჩართულობა ადგილობრივ საზოგადოებრივ საქმიანობაში;

- ქალთა და ახალგაზრდების სამოქალაქო შესაძლებლობების გაძლიერება და აქტიური ჩართვა გადანყვეტილების მიღების პროცესში;

- იძულებით გადაადგილებულ ქალთა და ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა ადგილობრივ თემებში მათი ინტეგრაციის პროცესში;

- სამშვიდობო პროცესებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა.

ხედვა

ქალთა ჩართულობის გაზრდა ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის, ყველა მოქალაქისათვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მისაღწევად.

როგორც სტრატეგიული, ასევე სამოქმედო გეგმა ემყარება საერთაშორისო და ეროვნულ კონვენციებს, რეგულაციებს და კანონებს, რომლებიც ხელს უწყობენ გენდერულ თანასწორობას, ქალთა გაძლიერებას, უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებებს და თანაბარ შესაძლებლობებს ყველასათვის.

ღირებულებები

ორგანიზება ქალთა ხმის გასაძლიერებლად;

თანამშრომლობა სოლიდარობის ნიშნად ორგანიზაციის შიგნით და გარეთ;

ორგანიზაცია აძლიერებს ყველას;

გუნდის თითოეული წევრი ხელს უწყობს ორგანიზაციის მიზნების უფრო ფართო ასპარეზზე გატანას;

თითოეულმა წევრმა უნდა შეძლოს თავისი ცოდნის და გამოცდილების განვითარება.

მეწარმე ქალთა ფონდის გამოცემები



მეწარმე ქალთა ფონდის თავმჯდომარე
პროექტების დირექტორი
მერი გელაშვილი

პროექტების ასისტენტები: ანჟელა ჩიხლაძე, ნატრული ნაჭყებია,
ინგა მაღლაფერიძე, ელენა ყუფარაძე

მენტორები: ანა ცუცქერიძე, ნატალია თოდუა

მობილიზატორები: ლალი გვალია - ქ. ფოთი
ნათო სილაბაძე - ქ. ცაგერი

დიზაინზე მუშაობდა: ლია კოსტავა

მეწარმე ქალთა ფონდი

მისამართი: ქუთაისი, მაგალობლიშვილის №6

მეწარმე ქალთა ფონდის საინტეგრაციო ცენტრი

მისამართი: ქუთაისი, ნიკეას ქ. №11

ტელ: (0431) 27 29 02; 568 97 80 40; 574 27 55 88; 591 91 92 24

ელ-ფოსტა: meri_gelashvili@yahoo.com

womenfund2003@gmail.com

womenfund37@mail.ru

ვებ-გვერდი: www.fwe.ge

